MES 7 22 0001482247

21/11/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 7 ნ ოემბერს .**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით ბოსტოღანაშვილი-** შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
3. **გაგა გვენეტაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
5. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

9. **ელენე ჟურავლიოვა** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
10. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს "ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
12. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნანა მიქავა - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
1. ნინო ენუქიძე - რექტორი;
2. მაია ნონიაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
3. ზვიად გაბისონია - კვლევების ცენტრის დირექტორი;
4. შორენა ხუბუნაია - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
5. ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
6. თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები)

1. **გიგა ხოსიტაშვილი;**
2. **მაგდა ცინცაძე;**
3. **ია ნაცვლიშვილი;**
4. **თინათინ გაბრიჩიძე.**

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის დაწყების დრო : 16: 04 სთ
სხდომის დასრულების დრო : 16:47 სთ

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტის საბჭოს სხდომაზე ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარმოედგინათ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთამ მიმართებით:

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ია ნაცვლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას . ია ნაცვლიშვილმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ რადგან ჯგუფის თავმჯდომარე ვერ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, თავად ია ნაცვლიშვილი წარადგენდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 26, 27 და 28 ივლისს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტზე. ექსპერტებს დაწესებულებაში დახვდათ მაღალორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო, რამაც ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების ურთიერთანამშრომლობას და ობიექტური დასკვნის მომზადებას. ია ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა ეფექტური მექანიზმის არსებობას ინტერნაციონალიზაციის პროცესიის მიმართულებით. ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ძალიან ძლიერი მხარე არის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რითიც აღნიშნული უნივერსიტეტი გამოირჩევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ასევე, ყურადღება გაამახვილა კარგად დანერგილ ხარისხის უზრუნველყოფის სიტემებზე. აქვე ყურადღება გაამახვილა დაწესებულებაში შემუშავებულ სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებსა და მათთვის ინდივიდუალური მოპყრობის წესების შემუშავებაზე, რომლის კარგი პრაქტიკაც აქვს აღნიშნულ უნივერსიტეტს.

ია ნაცვლიშვილმა განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. რამდენიმე რეკომენდაცია ეხება დაწესებულების მმართველობით სისტემას. , რომ დაწესებულების სამოქმედო გეგმები იყოს მეტად დეტალიზებული და მკაფიოდ განსაზღვრული, ადამიანური და ფინანსური რესურსების მითითებით. რეკომენდირებულია, რომ მეტად გამჭირვალე პროცედურები დაინერგოს მმართველობით ორგანოებში , წარმომადგენელების არჩევა დანიშვნის საკითხთან მიმართებით. ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მთავარი გეგმა არის განვითარება და დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე უმჯობესი იქნება ადამიანური რესურსის გაზრდა, კერძოდ: აკადემიურ პერსონალში აფილირებული პერსონალის გაზრდა და ასევე, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის წილის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე.. ია ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ჯგუფის მიერ შემუშავებული იყო რეკომენდაცია იყო ტექნიკური ხასიათის, რომელიც ეხებოდა რეესტრის წარმოებას.. ასევე ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია ეხებოდა პლაგიატის აღმოჩენის და პრევენციის მექანიზმის გამართულობას... ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა შემუშავებული მატერიალურ რესურსთან მიმართებით გარკვეული რეკომენდაციები შემუშავებული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია ბიზნეს უწყვეტობის გეგმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. და კვარტალური ფულადი ნაკადების დაგეგმვის ყოველთვიური შემუშავებასთან დაკავშირებითაც. . ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა რჩევები, რომელსაც დაწესებულება თავისი გეგმებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე გადახედავს და იმსჯელებს რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული რჩევების გათვალისწინება .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, ნინო ენუქიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. ნინო ენუქიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მაღალი ხარისხით წარმართული სამუშაოს შესრულებისთვის. ნინო ენუქიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ყველა რეკომენდაციას, რადგან აღნიშნული რეკომენდაციები მიმართულია ინსტიტუციური განვითარებისკენ. მან დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებისთვის, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების ხედვა ამ პროცესთან მიმართებით ძალიან საინტერესო იყო. ნინო ენუქიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციაში წარმოადგინა გაზიარებული რეკომენდაციების შესრულების მზაობა და სტრატეგია თუ როგორ აპირებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას. . მან დამატებით განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ტექნიკური სახის რეკომენდაციებს არ იზიარებდა დაწესებულება, და მან დამატებით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გამართვამდე დაწესებულებას ჰქონდა დრო, რომ ცალკეული ცვლილებები განეხორციელებინათ, და დაწესებულება მზად არის, რომ წარადგინოს დეტალური ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო დაწესებულების პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ შეფასებასთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომელი ეხებოდა, სავალდებულო კვლევითი აფილირების ხელშეკრულების პერიოდის ხანგრძლივობას. ელიზბარ ელიზბარაშილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მხოლოდ, ამ კონკრეტული უნივერსიტეტის პრობლემას არ წარმოადგენს და ეს პრობლემა ეხება სხვა უნივერსიტეტებსაც, რადგან როდესაც ერთ წლიანი კონტრაქტი ფორმდება აფილირებული პერსონალთან, მათ აქვთ ვალდებულება, გამოაქვეყნონ მაღალკვალიფიციური კვლევითი ნაშრომები გარკვეულ დროში. დამატებით განმარტა, რომ მისთვის გასაგები იყო თუ რა მიზეზით ფორმდება ერთ წლიანი ხელშეკრულება, თუმცა დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციაც მისაღები იყო.

დაწესებულების რექტორმა, ნინო ენუქიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს შეკითხვისთვის. მან განმარტა, რომ დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია და მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების ხელშეკრულებებთან მიმართებით რეკომენდაცია გაზიარებული იყო. მან აღნიშნა რომ დაწესებულება ახორციელებდა რვა აკრედიტებულ პროგრამას, აკრედიტებული პროგრამის ხელმძღვანელების ხელშეკრულების ვადა გახანგრძლივდა პროგრამის აკრედიტაციის ვადამდე, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელები კვლევით საქმიანობაში არიან ჩართულნი და ასევე სხვა მრავალი ვალდებულება აქვთ.

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, შორენა ხუბუნაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ბტუ-ს გუნდმა დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა თუ რა იქნებოდა ის ოპტიმალური გამოსავალი, რაც ორივე მხარისთვის როგორც ინსტიტუციისთვის ასევე პერსონალისთვის იქნებოდა რელევანტური. მან აღნიშნა, რომ აფილირების ხელშეკრულება ბტუ-ს გახანგრძლივდა 2 წლის ვადით. თუმცა ეს არ ნიშნას იმას, რომ ბტუ-ს სამოქმედო გეგმა იქნება მხოლოდ ორი წლის მერე შეფასებული. წლიურ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს აფილირებული პირი, რომელიც შეთანხმდება ბტუ-ს კვლევით ცენტრთან და კვარტალური მონიტორინგის მექანიზმის გამოყენებით განიხილება ყველა ის მიღწეული

საკითხი, გასაუმჯობესებელი მიმართულებები, ხელშემწყობი ღონისძიებები და ა.შ. შესაბამისად აფილირების დაწყების და დასრულების თარიღად განიხილება ორი წელი. რაც ხელშეკრულების გზით დარეგულირდება. მიმდინარე პერიოდში დაწესებულებას აქვს ღია კონკურსი აფილირების მიმართულებით. აფილირებული პერსონალის მიღების მიზნით ბტუ-ში გაიმიჯნა ორი ტიპი აფილირების. სრული ანაზღაურებადი და ნახევარ განაკვეთზე ანაზღაურებადი. შესაბამისად საკონკურსო წარმოებები ამ ეტაპზე მიმდინარეობს. განაცხადების მიღება დასრულებულია და მიმდინარეობს შერჩევის პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა რომ, დაწესებულება სრულად იზიარებდა ბატონი ელიზბარის პოზიციას. მან აღნიშნა, რომ რთულია მოკლევადიან პერიოდში ხელშეკრულების გაფორმება,, როდესაც კვლევითი პროექტები უმეტესწილად ხანგრძლივი ვადით გრძელდება.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რით არის განპირობებული აფილირებული პერსონალის ასეთი მცირე რაოდენობა, როდესაც დაწესებულებას აქვს გეგმა დაწესებულების შემდგომი დინამიური ზრდისა და როგორ აპირებენ ამ პრობლემის გადაჭრას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ბტუ-ში დანერგილი აქვთ მეთოდოლოგია რის მიხედვითაც ითვლიან საჭიროებებს, აფილირებული პერსონალის საჭიროების , რომელიც შეადგენს აკადემიური პერსონალის 10%-ს. შესაბამისად მათი მეთოდოლოგიის მიხედვით ამ ეტაპზე 131 აკადემიური პერსონალთან მიმართებით 30-მდე აფილირებული პერსონალი ჰყავთ , მათ რაოდენობას ზრდიან და ამ მიზნითაც არის გამოცხადებული კონკურსი . ისინი აკვირდებიან საკუთარი პერსონალის სხვა საქმიანობას და შესაბამისად რაოდენობები კონკურსის ფარგლებში ამ კუთხით იქნა განსაზღვრული. მეთოდოლოგიური დოკუმენტი აქვთ და ეყრდნობიან მას. სხვა სახის მარეგულირებელი აქტი ამ კუთხით არ აქვთ. შესაბამისად დაწესებულებამ თავად განსაზღვრა საჭიროებები და პროცესებზე მორგებული ზღვრები და მიჰყვებიან ამ პროცესს. ასევე აქვთ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში თავიანთი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით და დამატებით აღნიშნეს, რომ სტრატეგიული განვითარების კვალდაკვალ აქვთ სამიზნე ნიშნულები რის მიხედვითაც აპირებენ განვითარებას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თამარ გვიანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკადემიური მოწვეული და აფილირებული პერსონალის მათ შორის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება, პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ყოველწლიურად წელიწადში ერთხელ დაწესებულება ითვლის სტუდენტების საპროგნოზო რაოდენობებს და შესაბამისად მონიტორინგს უწევენ არსებული აკადემიური მოწვეული ადმინისტრაცული და დამხმარე პერსონალის რაოდენობას ამ გაზრდილი სტუდენტთა რაოდენობის ჭრილში. ამ დროს მხედველობაში მიიღება, როგორც სტუდენტთა არსებული ისე საპროგნოზო რაოდენობა. მხედველობაში მიღება იმ აკადემიური და აფილირებული პერსონალის რაოდენობას ვისაც იმ წელს იმ მომენტისთვის და შემდგომი სასაწავლო წლის დაწყებისთვის, სექტემბრისთვის გასდით ხელშეკრულების ვადა. განისაზღვრება მოწვეული პერსონალის რაოდენობაც და შესაბამისად შემდეგ ცხადდება აკადემიური კონკურსი და განისაზღვრება აფილირებული პერსონალის საპროგნოზო რაოდენობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ არა მხოლოდ მეთოდოლოგია აქვთ არამედ ამ მეთოდოლოგიის იმპლემენტაციაც სათანადოდ ხდება. ეს ხდება ყოველწლიურად და ხარისხის სამსახური უზრუნველყოფს ამ ყველაფერს. შემდგომ ამას შეისწავლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კვლევების ცენტის სამსახური და ზოგადად ადმინისტრაცია . რის შემდეგაც მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები და ზომები .

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვის დაზუსტების მიზნით მიმართა ექსპერტებს , თქვა რომ დაეზუსტებინათ 2.1 ქვესტანდარტის შეფასების ნაწილი, ვინაიდან მეორე ნაწილში არამხოლოდ დადებითად არამედ, საუკეთესო პრაქტიკად არის შეფასებული ინტერნაციონალიზაციის მუშაობა დაწესებულებაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თინათინ გაბრიჩიძემ განმარტა, რომ ბევრი კარგი პრაქტიკა გამოიკვეთა ზოგადად მეორე სტანდარტის და მათ შორის 2.1 სტანდარტის შეფასების დროს, თუმცა ვინაიდან და რადგანაც გაცემული იყო რეკომენდაციები 2.1 სტანდარტთან მიმართებით , სტანდარტის კომპონენტის შეფასება რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა შესაბამისი და ფიქრობენ რომ მეტ წილად შესაბამისი მოთხოვნებთან შეფასება სამართლიანი შეფასება იყო ამ შემთხევაში. რადგან იყო გაცემული რეკომენდაციები მმართველი ორგანოს დაკომპლექტების შესახებ. მან დამატებით აღნიშნა, რომ ასევე იყო რეკომენდაცია კადრების დამატების შესახებ და ამან გამოიწვია სტანდარტის შეფასება როგროც მეტწილი.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. კითხვა დასხვა აფილირებულ და არააფილირებულ პერსონალთან დაკავშირებით. შეფასების სტრატეგია რამდენად განსხვავდება და როგორ ნერგავენ შემდგომ ამ შეფასების გაუმჯობესებას. მეორე კითხვით მიმართა ეხება ექსპერტებს . საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია არის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიმართ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რა ვადაში შეძლებს დაწესებულება ამ მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ გვიანიშვილა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა აკადემიური პერსონალი აფილირებული და არააფილირებული, მოწვეული პერსონალი მათი საქმიანობა ექვემდებარება შედეგ შეფასებას. ეს შეფასება არის ყოველწლიური და შედგება ორი ნაწილისგან. აკადემიური პერსონალი ავსებს იმ ინდივიდუალური დატვირთვის სქემას, რომელიც შედგება ოთხი კომპონენტისგან. ეს არის საგანმანათლებლო საქმიანობა, სამეცნიერო საქმიანობა, სტუდენტების ხელშეწყობის პროექტებში მონაწილეობა და ინსტიტუციის განვითარებაში ჩართულობა. აქედან გამომდინარე აკადემიური პერსონალი, რომელიც არ არის აფილირებული თავად მონიშნავს იმ აქტივობებს, რომელიც მისი აზრით შესრულებადია და შეუძლია შეასრულოს წლის განმავლობაში. აქედან უკვე დგება ბადე, მათ შორის იმ ღონისძიებების რაც განხორციელდება წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ. წლის ბოლოს აკადემიური პერსონალი, იგივე პირი ავსებს ანალოგიურ სქემას , მონიშნავს რა შეასრულა. თუ რაღაცა არ შესრულდა შეუძლია განმარტოს რა მიზნით. შემდეგ უკვე ხდება ამ ორი სქემის დადარება. აქვე დაამატა რომ თუ აკადემიურმა პერსონალმა შეიძლება მონიშნოს რომ მას არ უნდა სამეცნიერო საქმიანობაში იმ წელს ჩართულობა. აფილირებული პერსონალისთვის ის კომპონენტი სავალდებულო ხდება. ამა თუ იმ ფორმით უნდა იყოს ჩართული , შესაბამისად მათ აქვთ დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობა . და უკვე ამ პირის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხდება მისი წლის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი. ობიექტური გარემოებების გამო შესაძლოა პირმა ვერ დაასრულა პროექტი ეს არის აბსოლუტურად გასაგები და საპატიო მიზეზი და ეს უარყოფითად არ აისახება მის შეფასებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, გიგა ხოსიტაშვილი მესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყო ბატონი გიორგი ბეროშვილი, რომელიც არის დამსაქმებელი ექსპერტი და მისი საქმიანობა უკავშირდება საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ის რეკომენდაციები რომელიც ამ ნაწილში იქნა გაცემული ინსტიტუციამ გაიზიარა, თუმცა ვადების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით ექსპერტს გაუჭირდება პასუხის გაცემა, მაგრამ აქვე ისაუბრა ასევე რეკომენდაციებზე რომელიც იყო მეორე სტანდარტის ნაწილში გაცემული,

რომელიც ასევე მეტნაკლებად უკავშირდება საინფორმაციო ტექნოლოგიებს. პლაგიატის პროგრამის დანერგავს, რომელიც ასევე მეტ წილად ამ მიმართულებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის რომ ინსტიტუციამ გაიზიარა ყველა ის რეკომენდაცია, ნაწილში შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილია. ნაწილის შემთხვევაში ინსტიტუციამ თქვა, რომ დაიწყო მოლაპარაკებები რეკომენდაციის შესასრულებლად. ექსპერტები სამწუხაროდ ამას ვერ შეაფასებენ რადგან შედეგი არ არის დამდგარი, თუმცა დროის თვალსაზრისით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით 1 წელი სრულიად საკმარისია რეკომენდაციების შესასრულებლად.

თამარ გვინიაშვილმა აღნიშნა, რომ მათთვის ვიზიტის შეჯამების დროს იყო უკვე ცნობილი ექსპერტების პოზიცია, თავმჯდომარემ მათ ეს გააცნო , თქვა რომ ბატონი გიგაა შეეხო თურნითინის პროგრამას, თქვა რომ მოლაპარაკებები ნამდვილად მიმდინარეობს აქვე დაამატა რომ მოლაპარაკებების დასრულება არ ხდება ერთ დღეში. აქედან გამომდინარე დაწესებულებამ ეს გაიზიარა. ამის გაკეთება 1 დღეში და 1 თვეში წარმოუდგენელია. მათი მხრიდან ამ განცხადების გაკეთება უპასუხისმგებლობა იქნებოდა. რაც შეეხება მატერიალურ ტექნიკურ ნაწილში ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხებს, მან აღნიშნა, რომ ყველა ინსტიტუცია ვალდებულია ავტორიზაციის მიღების შემდგომ სამი წლის ვადაში წარმოადგინოს შუალედური ანგარიში და ყველა მათ მიერ დაგეგმილი აქტივობა იქნება შესრულებელი. შესაბამისად ამ ვადაში წარმოდგენილ ანგარიშში ყველაფერი იქნება ასახული თავისი მტკიცებულებების ასახვით.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მაია ნონიაშვილმა განმარტება გააკეთა უსაფრთხოების პოლიტიკასა და პროცედურებზე, ასევე ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკასა და გეგმაზე. მან აღნიშნა, რომ მოცემული საკითხებიდან ერთი დოკუმენტის პროექტი უკვე შემუშავებული არის სპეციალისტებთან ერთად. უახლოეს მომავალში გადაეცემა აკადემიურ საბჭოს, რაც შეეხება უსაფრთხოების პოლიტიკას და პროცედურებს გარკვეულწილად დაეთანხმნენ ამ რეკომენდაციას რადგან, ბტუ-ში არსებოს უსაფრთოხების პოლიტიკა. პროცედურები სხვადასხვა დოკუმენტებში არის მოცემული, თუმცა მიმდინარეობს ამ ყველაფრის შესწავლა რათა ერთ დოკუმენტად შეიკრას უახლოეს თვეებში ეს დოკუმენტი იქნება შემუშავებული და შემდგომ გადავლენ დანერგვის ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:41 საათზე

საბჭოს სხდომა განახლდა: 16:44 საათზე

ავტორიზაციის საბჭოს მიერ შეფასება და კენჭისყრა:

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისათვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მომხრე: 12
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და 2 მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის. შესაბამისად, შპს ბიზნესია და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს (ს/კ:405155638) მიენიჭა ავტორიზაცია სტატუსით: 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 7 ნოემბრის 16:47საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა